გორის მუნიციპალიტეტის

საკრებულო

განკარგულება № 86

2025 წლის 11 ივლისი

გორის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის განყოფილების 2024 წლის ივლისიდან განვლილი პერიოდის ანგარიშის შეფასების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო, მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებაზე, მერიის საქმიანობაზე, თვითმმართველი ერთეულის ქონების მართვასა და თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესრულებაზე ახორციელებს კონტროლს. აღნიშნული კონტროლის განხორციელების ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს ანგარიშის მოსმენა, რომელიც გაწერილია საკრებულოს სამუშაო გეგმებში. საკრებულოს სამუშაო გეგმის შესაბამისად საჭიროა მოსმენილ იქნას და შეფასდეს გორის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის განყოფილების 2024 წლის ივლისიდან განვლილი პერიოდის ანგარიში.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად:

1. დადებითად შეფასდეს „გორის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის განყოფილების 2024 წლის ივლისიდან განვლილი პერიოდის ანგარიში (დანართი თან ერთვის 2 ფურცლად).

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**

გორის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის განყოფილების 2024 წლის ივლისიდან მიმდინარე პერიოდამდე გაწეული საქმიანობის ანგარიში

გორის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის განყოფილება განიხილავს მერიის საქმისწარმოების განყოფილებაში შემოსულ ფიზიკური და იურიდიული პირების განცხადებებს და კორესპონდენციებს, დაკავშირებულს მშენებლობის ნებართვებთან, მიწის ნაკვეთების დაყოფა/გაერთიანებეთან, მრავალბინიანი კორპუსების საზღვრების დადგენასთან და სხა საკითხებთან დაკავშირებით. ქართველოს კანონის ,,საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ და “მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის N255 დადგენილების და სხვა რეგულაციების გათვაკისწინებით სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის განყოფილება გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს.

2024 წლის ივლისიდან 2025 წლის მიმდინარე პერიოდამდე გაიცა 186 მშენებლობის ნებართვები. აქედან, მეოთხე კლასს 17-საკალმახე მეურნეობის. 39-მესამე კლასს მიკუთვნებული სამაცივრე, კომერციული, სასაწყობე და სხვა ფუნქციური დანიშნულების ობიექტების და 116- მეორე კლასის შენობა-ნაგებობების მშენებლობისათვის. მარტივი შეტყობინებით შეთანხმებულია 163 პირველი კლასის 60 კმ.მ-მდე ფართის შენობების საპროექტო დოკუმენტაცია, კომერციული ობიექტების სარეკლამო აბრების განთავსებაზე გაიცა 32 შეთანხმების ინდივიდუალური ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტი.

მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების, კერძოდ ქუჩების და გზების რეაბილიტაციის პარალელურად მიმდინარეობს საჰაერო და მიწისქვეშა ამორტიზირებული წყალსადენების და გაზსადენების სარეკონსრტუქციო პროექტების შეთანხმება გორის მუნიციპალიტეტის მერიასთან. სივრცითი მოწყობისა არქიტექტურის განყოფილების მიერ გაცემული 815 აქტის საფუძველზე ხორციელდება როგორცსარეკონსტრუქციო ასევე ახალი ელექტრო მომარაგების, გაზმომარაგების, ოპტიკურ ბოჭკოვანი საკაბელო სისტემის, სარწყავი სისტემის და წყალმომარაგების ხაზობრივი ნაგებობების მშენებლობებიც.

მოგეხსენებათ, რომ სამშენებლო საქმიანობაში-შენობების, გზების და სხვა ინფრასტრუქტურული ნაგებობების მშენებლობისას ფართოდ გამოიყენება სასარგებლო წიაღისეულის, ქვიშა-ხრეშის მოპოვება, რომელთა მოპოვების საუკეთესო წყაროდ ითვლება მდინარეები. გარდა სამშენებლო საქმიანობისა, მდინარის „გაჯანსაღების“ მოტივით (წყალმოვარდნის შემდეგ, კალაპოტის წყალგამტარობის გასაზრდელად) გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მდინარე მტკვრის, დიდი და პატარა ლიახვის კალაპოტში ზ/აღნიშნული წიაღის მოპოვებაზე გაცემულია 21 შეთანხმების აქტი, აქედან 10 ლოკაციაზე მოსახლეობის აზრის გათვალისწინებით ითქვა უარი, რომლის საფუძველსაც წარმოადგენს სალიცენზიო ტერიტორიის მიმდებარედ საკალმახე აუზების, მოსახლეობის საკარმიდამო,

სამეურნეო, საძოვრების და გარშემო ინფრასტრუქტურული ობიექტების-გზები, ხიდები და სხვა დაზიანება/დატბორვის საფრთხის შემცველი რისკები.

39 საპროექტო ობიექტს, რომელთა მშენებლობაც ვერ განხორციელდა სანებართვო პირობებით განსაზღვრულ ვადაში გაუგრძელდათ მშენებლობის ვადა. ასევე 69 ოიბიექტს, რომელთა მშენებლობაც განხორციელდა 2007 წლის 01 იანვრამდე გაუკეთდა ლეგალიზება.

2024 წლის ივლისიდან დღემდე 12-მა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობამ წარმოადგინა ტექ.დოკუმენტაცია მიწის ნაკვეთის საზღვრების დადგენასთან დაკავშირებით, რაზეც გაიცა გორის მუნიციპალიტეტის მერის მიერ შესაბამისი ბრძანება.

მიწის ნაკვეთების გაყოფა/გაერთიანებასთან და კატეგორიის (სასოფლო სამეურნეო-არასასოფლო სამეურნეოში) ცვლილებასთან დაკავშირებით გაცემულია 535 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

განყოფილება აქტიურად არის ჩართული ინფრასტრუქტურული პროექტების მიმოხილვა/განხორციელებაში. კერძოდ, განყოფილების მიერ განხილული იქნა სოფ-შავშვების, ფლავის, ზერტის და ვარიანის საბავშვო ბაღების პროექტები. აგრეთვე სოფ. მეჯვრისხევის, არაშენდას, ატენის და გორის N11 საჯარო სკოლის საპროექტო დოკუმენტაცია.

სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის განყოფილების მიერ შესრულებული სამუშაოების შედეგად სახელმწიფო ხაზინაში მშენებლობის ნებართვის მოსაკრებლის სახით შესულია 429 886 ლარი.